



2018 წლის 8 მაისს გაიმართება თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის

XI სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ წლევეანდელი სტუდენტური კონფერენცია გაიმართება 8 მაისს. კონფერენცია ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლისთავს.

კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლიათ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს.

კონფერენციის თემატიკა უკავშირდება სახელოვნებო, სოციალურ და სხვა სამეცნიერო მიმართულებებს. იქნება ხელოვნებათმცოდნეობის, თეატრმცოდნეობის და მუსიკისმცოდნეობის, კინომცოდნეობის, ჟურნალისტიკის, ხელოვნების მენეჯმენტისა და ტურიზმის სექციები.

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველმა სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ მოხსენების სათაურები შესაბამისი ინფორმაციით (სტუდენტის სახელი გვარი, უმაღლესი სასწავლებლისა და სპეციალობის დასახელება, სწავლის საფეხურის დასახელება, ხელმძღვანელის სახელი გვარი აკად. თანამდებობა).

მოხსენების თემა და სათაური სტუდენტმა უნდა შეათანხმოს ხელმძღვანელთან.

მოხსენების სათაურის წარმოდგენის ბოლო ვადაა **6 აპრილი**,
ხოლო სრული მოხსენებებისა - **27 აპრილი**.

მოთხოვნები და პარამეტრები:

*მოხსენების სათაური და მოხსენებები უნდა გადმოიგზავნოს ქვემოთ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
მოხსენება არ უნდა აღემატებოდეს 5 გვერდს.
ქართული შრიფტი აკად. ნუსხური, ზომა 12, დაშორება 1,5.*

*კონფერენციის ორგანიზატორია
ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი
პროფესორი ნატო გენგიური*

ტ. 577 94 70 03; 593 24 42 78.

natogengiuri@gmail.com; ngengiuri@tafu.edu.ge

